დიდი ანგარიშით

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” მეორე წრის შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ორივე გუნდი მოედანზე გამოვიდა ჩვეული შემადგენლობით. თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. დასაწყისშივე ტატუშინი პირისპირ გავიდა მეკარე სანაიასთან, რომელმაც მას ფეხებიდან ააცალა ძნელი ბურთი. ორი წუთის შემდეგ იგივე მდგომარეობა გამეორდა “სპარტაკის” კართან და ტუჩკუსი ანთაძეს ჩაუვარდა ფეხებში.

შემდგომში თანდათან გამომჟღავნდა მოსკოველთა უპირატესობა. “დინამოს” თავდამსხმელები თამაშობდნენ სუსტად, უინიციატივოდ, განსაკუთრებით კალოევი და კოტრიკაძე. თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა დინამოელთა დაცვას, რომლებიც ყოველთვის ვერ თამაშობდნენ ზუსტად, უშვებდნენ შეცდომებს, დროზე ვერ იგერიებდნენ მოწინააღმდეგის თავდამსხმელთა იერიშებს.

პირველი ბურთი მოსკოველებმა გაიტანეს დაახლოებით მე–12 წუთზე. სანაიამ ტექნიკურად არასწორად მოიგერია კუთხური მოწოდება და პარამონოვმა ბურთი ბადეში გაგზავნა. რამდენიმე წუთის შემდეგ მახარაძისა და ისაევის ორთაბრძოლა კარის სიახლოვეს დამთავრდა მოსკოველის გამარჯვებით – 2:0. ტაიმის დასასრულს სანაიას შეცდომის შედეგად ილინმა ანგარიში სამამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში თბილისელთა კარში მარღანია იდგა. დასაწყისში “დინამოს” ჰქონდა ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ მოედანს კვლავ სპარტაკელები დაეუფლნენ და მალე პარამონოვმა თავით გაგზავნა ბურთი კარში. მარღანიამ მიუტევებლად გაუშვა იოლი ბურთი. დაბოლოს, ილინმა გაასწრო ელოშვილს და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაზარდა – 5:0.

„ლელო“, 9.06.54